Марсагишвили Резо Георгиевич

Выражение отрицательного эмоционального отношения /"грубости"/ в лексической системе грузинского, английского и русского языков

/на грузинском языке/

Тбилиси-1991

ნაბეჭდი თაბ. – 1,5

სააღ.საგამომც. თაბ.– 1,05

უფასო

შეკვეთა № 1133 ტირაჟი – 100

---

ოპუ. ჰიდრომეტი, თბილისი, დავით აღმაშენებლის 150

A
7043

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რეზო მარსაგიშვილი

# უარყოფითი ემოციური დამოკიდებულების /"უხეშობის"/ გამოხატვა ქართული, ინგლისური და რუსული ენების ლექსიკურ სისტემაში

სპეციალობა 10.02.19 – ენათმეცნიერების თეორია

10.02.19

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 1991

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე.

მეცნიერ-ხელმძღვანელი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მ. ნათაძე

ოფიციალური ოპონენტები – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. ხუხუნი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ქ. კაბაშვილი

წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

დაცვა შედგება ". . ." . . . . . . . . . 1991 წ. . . . საათზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სპეციალიზებული საბჭოს დ 057.03.08 სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. I.

დისერტაციას შეიძლება გაეცნოთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სპეციალიზებული საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ც. წიბახაშვილი

საკვალიფიკაციო ნაშრომის ამოსავალი თეორიული დებულებაა "სამყაროს ენობრივი სურათის" ჰუმბოლდტისეული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ენა წარმოადგენს უნივერსუმის თავისთავად აღქმა-ინტერპრეტაციას და არა მის პასიურ ანარეკლს. შესაბამისად, ყოველ ენას დიფერენციალური ეროვნული ფსიქოლოგია და განუმეორებელი ემოციური /სტილისტური/ იერი აქვს. ნაშრომის მიზანია ენათა დიფერენციალური ფსიქოლოგიისა და სტილისტური იერის ზოგიერთი შტრიხის გამოვლენა.

ვინაიდან ენისეული სამყაროს სურათის დადგენა მთელი მოცულობით მიუღწეველი ამოცანაა, ვიფარგლებით ერთი კონკრეტული ლოკალური ფრაგმენტით – ჩვენი კვლევის ობიექტია ქართული, ინგლისური და რუსული ენების ლექსიკურ სისტემაში კოდირებული უარყოფითი ემოციური დამოკიდებულება.

კვლევის მიზანი განაპირობებს რამდენიმე კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის საჭიროებას. ეს ამოცანებია:

I/ იმ კერძო შინაარსების დადგენა, რომლებიც შეადგენენ ზოგად საკვლევ შინაარსს – უარყოფით ემოციურ დამოკიდებულებას;

2/ უარყოფითი ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ლექსიკური ერთეულების მოძიება და სისტემატიზაცია საკვლევ ენებში;

3/ შეპირისპირების კრიტერიუმების გამომუშავება;

4/ შეპირისპირების ჩატარება.

საკვლევი მასალის წყაროდ უმთავრესად ვიყენებთ სხვადასხვა სახის – განმარტებით, ორენოვან, საგნობრივ და ა.შ. – ლექსიკონებს. ვსარგებლობთ აგრეთვე მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურით, ინფორმანტების გამოკითხვითა და ტესტირებით, მაგალითებს ვიღებთ სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციებიდან.

კვლევისას მივმართავთ როგორც ონომასიოლოგიურ, ისე სემასიოლოგიურ მიდგომას. კონკრეტული ანალიზის დროს ვეყრდნობით საკუთარ ენობრივ